<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №003, 27.03.96, გვ. 27) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"2. დაცულ ტერიტორიებს მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.";

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:
„9. დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ენერგეტიკული მნიშვნელობის ობიექტის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასაშვებია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*